**საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია**

**ეთიკის კომისია**

**გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა**

**დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე**

**მეოთხე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:**

ოთარ კაჭკაჭაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ინგა ბერიძე - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

**საჩივრის ავტორი:** ელგუჯა კვანტალიანი

**საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:** 25.01.2022

**საჩივრის რეგისტრაცის ნომერი:** №007/22

**საჩივარი შემოტანილია:** ადვოკატ ნანა ძიმცეიშვილის მიმართ /სიითი№2763/

**საჩივრის მოთხოვნა:** ადვოკატ ნანა ძიმცეიშვილისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

**I აღწერილობითი ნაწილი**

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას 2022 წლის 25 იანვარს საჩივრით მომართა ელგუჯა კვანტალიანმა და მოითხოვა ადვოკატ ნანა ძიმცეიშვილისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2019 წლიდან არის ინდ. მეწარმე. მის საქმიანობას წარმოადგენს საშუამავლო სააგენტოს მეშვეობით დაინტერესებული პირების დაკავშირება ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში დამსაქმებლებთან, ლეგალური დასაქმების მიზნით. 2020 წელს, მან ხელშეკრულება გაუფორმა დასაქმების მსურველ სამ პირს, რომლებმაც დაარღვიეს სახელშეკრულებო პირობები და მათ შორის წარმოიშვა დავა.

1.3 მომჩივანის განმარტებით, მისი ოფისის მიმდებარედ საადვოკატო საქმიანობას ეწეოდა ადვოკატი ნანა ძიმცეიშვილი, რომელსაც დეტალიურად უამბო საქმის ფაქტების შესახებ. ადვოკატმა განუმარტა, რომ მის საქმეს აწარმოებდა სასამართლო წესით.

1.4 მომჩივანის განმარტებით, 2021 წლის 13 ივლისს ადვოკატს მისცა მინდობილობა და დასახელებულ ანგარიშზე ჩაურიცხა საადვოკატო მომსახურების თანხა - 500 ლარი. საპროცესო კოლეგიის სხდომაზე მომჩივანმა დააკონკრეტა, რომ აღნიშნული თანხა წარმოადგენდა არა ჰონორარს, არამედ სახელმწიფო ბაჟის თანხას. მომჩივანის განცხადებით, თანხა ადვოკატმა დაუბრუნა ნაწილ-ნაწილ და თანხის ნაწილში ადვოკატის მიმართ პრეტენზია არ აქვს.

1.5 ელგუჯა კვანტალიანი პირველი თვის განმავლობაში არაერთხელ დაუკავშირდა ადვოკატს საქმის მოსაკითხად. თავიდან ადვოკატი აცხადებდა, რომ არ ეცალა, თუმცა თვის ბოლომდე აუცილებლად მოამზადებდა სარჩელს და ჩააბარებდა სასამართლოს. მეორე თვეში, ადვოკატმა განუმარტა, რომ სარჩელი უკვე შეტანილი ჰქონდა სასამართლოში და სასამართლოსაგან ელოდებოდა პასუხს. ასევე, განუმარტა, რომ სარჩელი გაუგზავნა მოპასუხე პირებს და ელოდებოდა ჩაბარების დასტურს. ამ ლოდინში გავიდა ორი თვე, ადვოკატმა ასევე განუცხადა, რომ განსჯადობით, საქმეს განიხილავდა ქ.ზუგდიდის საქალაქო სასამართლო.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატმა განუმარტა, რომ მის საქმეზე სხდომა ჩანიშნული იყო 2021 წლის 25 ნოემბერს, სადაც ელგუჯა კვანტალიანის დასწრება არ იყო აუცილებელი.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, გადამოწმების შედეგად აღმოაჩინა, რომ ადვოკატს სასამართლოსათვის საერთოდ არ მიუმართავს და მას რამდენიმე თვის განმავლობაში აწვდიდა არასწორ ინფორმაციას.

1.8 2022 წლის 7 მარტის სხდომაზე მომჩივანმა დამატებით განმარტა, რომ მინდობილობა ადვოკატს მისცა სწორედ იქედან გამომდინარე, რომ სასამართლოში წარმომადგენლობაზე შეთანხმდნენ, მხოლოდ სარჩელის მოსამზადებლად ადვოკატს მინდობილობას არ მისცემდა.

1.9 2022 წლის 2 ივნისის განხილვის კოლეგიის სხდომაზე მომჩივანმა დაადასტურა საჩივარში მითითებული გარემოებები.

**2. ადვოკატის პოზიცია:**

2.1 ადვოკატმა ნანა ძიმცეიშვილმა 2022 წლის 05 მარტს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა-განმარტება ელგუჯა კვანტალიანის საჩივრიდან გამომდინარე, სადაც მიუთითა, რომ მას იურიდიული დახმარების მისაღებად მიმართა ელგუჯა კვანტალიანმა, რომელსაც ჰქონდა სამოქალაქო დავა და სურდა სარჩელის წარდგენა სასამართლოში.

2.2 ადვოკატი განმარტავს, რომ კლიენტისაგან დავალებად მიიღო საპროცესო დოკუმენტის - სარჩელის შედგენა და არა სასამართლოში წარმომადგენლობა. შეთანხმდნენ, რომ ადვოკატი სარჩელს მოამზადებდა 150 ლარად.

2.3 ადვოკატი განმარტავს, რომ ელგუჯა კვანტალიანის საქმეზე იმუშავა, მოამზადა სამი სარჩელი, მოიპოვა ინფორმაცია მოპასუხეთა საცხოვრებელი ადგილის შესახებ. ის კლიენტს ინფორმაციას აწვდიდა ელ-ფოსტის მეშვეობით, სადაც გაუგზავნა სარჩელის პროექტები.

2.4 ადვოკატის განმარტებით, კლიენტმა მინდობილობა მისცა სარჩელის მომზადებამდე, სადაც აღნიშნული იყო სრული მომსახურება, რაც არ გაუპროტესტებია, რადგან კლიენტს ენდობოდა. კლიენტს სასამართლოში წარმომადგენლობაზე არ შეთანხმებია, ეს დაკავშირებული იქნებოდა დამატებით ჰონორართან.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მიღებული ჰონორარი 500 ლარი ელგუჯა კვანტალიანს დაუბრუნა ნაწილ-ნაწილ.

2.6 ადვოკატმა მონაწილეობა არ მიიღო ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის 2022 წლის 21 მარტისა და განხილვის კოლეგიის 2022 წლის 02 ივნისის სხდომაზე და მიუთითა, რომ ენდობა კომისიას და საქმის გამოკვლევისას დაეყრდნონ მის წერილობით პოზიციას.

**3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:**

3.1 2022 წლის 15 მარტს პირველმა დისციპლინურმა კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნანა ძიმცეიშვილის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიამ დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაადგინა, რომ ადვოკატ ნანა ძიმცეიშვილის მიერ დარღვეულია კლიენტის ინფორმირების ეთიკური ვალდებულება (ეთიკის კოდექსი მუხლი 8.6, ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი 6.2).

**II სამოტივაციო ნაწილი**

**4. საქმის ფაქტები:**

4.1 უდავო ფაქტები:

4.1.1 ადვოკატი ნანა ძიმცეიშვილი და ელგუჯა კვანტალიანი ზეპირი ფორმით შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების პირობებზე. ადვოკატ ნანა ძიმცეიშვილსა და მომჩივან ელგუჯა კვანტალიანს შორის N210726842 მინდობილობა გაფორმებულია 2021 წლის 13 ივლისს.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მინდობილობა N210726842, 13.07.2022;

4.1.2 ელგუჯა კვანტალიანმა ადვოკატს გადასცა საადვოკატო მომსახურების თანხა - 500 ლარი, რომელიც ადვოკატმა უკან დაუბრუნა, ნაწილ - ნაწილ.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მხარეთა პოზიციები (პარ. 1.4; 2.5)

4.2 სადავო ფაქტები:

4.2.1 მხარეთა შორის სადავოა ფაქტი: ადვოკატ ნანა ძიმცეიშვილს, კლიენტის - ელგუჯა კვანტალიანის საქმე უნდა ეწარმოებინა სასამართლო წარმოების გზით.

მომჩივანის პრეტენზიის პასუხად, რომ ადვოკატს მისი საქმე უნდა ეწარმოებინა სასამართლოშიც, ადვოკატი განმარტავს, რომ მას ელგუჯა კვანტალიანისათვის უნდა მოემზადებინა მხოლოდ სარჩელი, რაც შეასრულა.

სსსკ-ის 102.1 მუხლის თანახმად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს.

მომჩივანმა, შეთანხმების შინაარსის დასადასტურებლად კომისიას წარმოუდგინა 2021 წლის 13 ივლისის N210726842 მინდობილობა, სადაც გაწერილია, რომ „რწმუნებული ნანა ძიმცეიშვილი იცავს მარწმუნებლის ინტერესს საქართველოს ყველა ინსტანციის სასამართლოში, ... აწარმოებს შესაბამის სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციულ და/ან საარბიტრაჟო, სააღსრულებლო საქმეს". მინდობილობა გაცემულია 3 წლის ვადით. საპირწონედ, ადვოკატ ნანა ძიმცეიშვილს არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მასსა და ელგუჯა კვანტალიანს შორის შეთანხმების პირობებს. იქედან გამომდინარე, რომ მხარეები საადვოკატო მომსახურების პირობებზე შეთანხმდნენ ზეპირი ფორმით, ადვოკატი ვერ ადასტურებს, შეთანხმების პირობებს. შესაბამისად, მომჩივანის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულების - მინდობილობისა და მტკიცების ტვირთის განაწილების ფაქტიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიას სარწმუნოდ მიაჩნია, რომ ადვოკატი ნანა ძიმცეიშვილი კლიენტს შეუთანხმდა სასამართლო წარმოებაზე.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მინდობილობა N210726842, 13.07.2022;

მომჩივანის პოზიცია; განხილვის კოლეგიის 2022 წლის 02 ივნისის სხდომის ოქმი;

4.2.2 მხარეთა შორის სადავოა ფაქტი: აწვდიდა თუ არა ადვოკატი ნანა ძიმცეიშვილი ელგუჯა კვანტალიანს საქმის მიმდინარეობის შესახებ ინფორმაციას სრულყოფილად.

ინფორმაციის მიწოდების ნაწილში მხარეები ადასტურებენ, რომ ადვოკატმა მომჩივანს მეილის მეშვეობით გაუგზავნა სარჩელის პროექტი. მომჩივანი განმარტავს, რომ ადვოკატი აწვდიდა ინფორმაციას მისი სარჩელის სასამართლოში განხილვის შესახებ და მას ეგონა, რომ მის საქმეზე ჩანიშნული იყო სასამართლოს სხდომა. ადვოკატი აღნიშნულს უარყოფს.

კლიენტის ინფორმირება მოიცავს არა მხოლოდ ინფორმაციის დროულ მიწოდებას, არამედ სწორი ინფორმაციის მიწოდებას, რომლის შესრულების თაობაზე მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს. ადვოკატს არ წარმოუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ ის ახდენდა კლიენტის დროულ და სწორ ინფორმირებას. ამის საპირისპიროდ, საჩივრის ავტორის ახსნა-განმარტებითა და მის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დგინდება, რომ ადვოკატმა დაარღვია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება, რადგან საქმის მიმდინარეობის თაობაზე კლიენტს არ აწვდიდა სწორ ინფორმაციას.

კომისიის შეფასებით, მომჩივანი მისი საქმის მიმდინარეობის შესახებ ფლობდა არასწორ ინფორმაციას.

განხილვის კოლეგია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

მომჩივანის პოზიცია; განხილვის კოლეგიის 2022 წლის 02 ივნისის სხდომის ოქმი;

## 5. შემაჯამებელი დასკვნა

განხილვის კოლეგია გაეცნო საქმის მასალებს, მხარეთა ახსნა-განმარტებებს და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნანა ძიმცეიშვილის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

**6. სამართლებრივი შეფასება:**

6.1 განხილვის კოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნანა ძიმცეიშვილის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

6.1.1 ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია, და განუმარტოს ყველა შესაძლო ფინანსური ვალდებულება, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმის წარმოებასთან (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 6.2).

6.1.2 ადვოკატმა კლიენტს, მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ (ეთიკის კოდექსი, მუხლი 8.6).

6.2 კლიენტის ინფორმირების ვალდებულება გულისხმობს კლიენტისათვის სწორი და სრული ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას.

6.3 „ადვოკატი უნდა უკავშირდებოდეს კლიენტს საქმესთან დაკავშირებით ყოველი ახალი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, ასევე, კლიენტს არ უნდა უზღუდავდეს მასთან დაკავშირების შესაძლებლობას“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 28.01.2011 წლის გადაწყვეტილება, საქმე #074/10).

6.4 „კლიენტის ინფორმირების ვალდებულება უშუალო კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია, რომ ის ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის თაობაზე“ (საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიის 23.09.2010 წლის გადაწყვტილება, საქმე N066/10).

6.5 „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-16 მუხლის მიხედვით „დისციპლინური წარმოების მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებით გაეცნონ საქმის მასალებს და გადაიღონ მათი ასლები, განაცხადონ აცილებები, წარადგინონ მტკიცებულებები, ეთიკის კომისიას მიმართონ შუამდგომლობებით, მისცენ ახსნა-განმარტებები და წარადგინონ საკუთარი მოსაზრებები დისციპლინური წარმოების დროს წამოჭრილ ყველა საკითხზე“, ხოლო ამავე დებულების მე-17 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“. საქმისწარმოების განხილვის ეტაპზე, ეთიკის კომისია გადაწყვეტილების მიღებისას ხელმძღვანელობს მხარეთა პოზიციებიდან და მათ მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან გამომდინარე.

6.6 ეთიკის კომისია ეყრდნობა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2b/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“

შესაბამისად, კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულების მტკიცების ტვირთი აკისრია ადვოკატს.

6.7 ელგუჯა კვანტალიანი და ადვოკატი ნანა ძიმცეიშვილი ზეპირი ფორმით შეთანხმდნენ საადვოკატო მომსახურების პირობებზე. მხარეთა შორის სადავოა, რა ვალდებულება აიღო ადვოკატმა. მომჩივანი განმარტავს, რომ ადვოკატს მისი საქმე უნდა ეწარმოებინა სასამართლოშიც, ხოლო ადვოკატის პოზიციით, მან აიღო მხოლოდ საპროცესო დოკუმენტების - სარჩელის მომზადების ვალდებულება, რაც შეასრულა. კომისიამ დაადგინა, რომ ადვოკატს ელგუჯა კვანტალიანისათვის უნდა მოემზადებინა სარჩელი და მომსახურება უნდა გაეწია სასამართლოში (პარ. 4.2).

6.8 კომისიამ დაადგინა, რომ ელგუჯა კვანტალიანი მისი საქმის შესახებ ადვოკატისაგან ფლობდა არასწორ ინფორმაციას - რომ მისი საქმის წარმოება მიმდინარეობდა სასამართლოში (პარ. 4.3).

6.9 განხილვის კოლეგიამ იხელმძღვანელა საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მასალებით, ადვოკატის პოზიციით და დაადგინა, რომ ადვოკატმა ნანა ძიმცეიშვილმა დაარღვია კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდების ეთიკური ვალდებულება.

6.10 დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმის განსაზღვრისას, ეთიკის კომისიამ იმსჯელა ბრალის ხარისხზე და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის პროპორციულობაზე. ადვოკატს, დისციპლინური გადაცდომის ჩადენის შემთხვევაში შესაძლოა დაეკისროს დისციპლინური სახდელი (გაფრთხილება, საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება და საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეწყვეტა) ან/და ზემოქმედების ღონისძიება - კერძო სარეკომენდაციო ბარათით მიმართვა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 34).

6.11 „დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენს ადვოკატის ბრალეული ქმედება, ხოლო ბრალის ხარისხი - კონკრეტულის სახდელის ან ზემოქმედების შერჩევის წინაპირობას. ამასთან, უნდა მოხდეს ადვოკატის პიროვნების, მის მიერ ადრე ჩადენილი გადაცდომების, საქმიანი და მორალური რეპუტაციის ჩადენილი გადაცდომის სიმძიმის და მის ჩადენაში ადვოკატის ბრალის ხარისხის შეფასება“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-15, 01.04.2015).

6.12 „სახდელის დანიშვნის დროს ეთიკის კომისიის მიერ მხედველობაში მიიღება ის ზოგადი წესები, რომლებიც განაპირობებს სამართლიანი სახდელის დაკისრებას, პირის დასჯას მის მიერ ჩადენილი ქმედების თანაზომიერად. აღნიშნულის მიღწევა შესაძლებელია ჩადენილი გადაცდომის ხასიათის, დამრღვევის პიროვნების, გადაცდომის სიმძიმის, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებების მხედველობაში მიღებით, რაც სახდელის ინდივიდუალიზაციის პრინციპის გატარების აუცილებელი პირობათაგანია“ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის გადაწყვეტილება, საქმე #დს-შ/3-17, 22.05.2017).

6.13 ეთიკის კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის დისციპლინირების მიზანი არის არა მისი დასჯა, არამედ ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის პრევენცია, საზოგადოების დაცვა ადვოკატის არაეთიკური ქცევისაგან და პროფესიული ღირებულებების დაცვა, რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საზოგადოებაში ადვოკატის პროფესიისადმი მაღალი ნდობის დამკვიდრებას.

6.14 განხილვის კოლეგია ითვალისწინებს იმ გარემოებას, რომ დარღვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, ადვოკატისათვის დისციპლინური ზემოქმედების ღონისძიებით, კერძო სარეკომენდაციო ბარათით - რჩევით მიმართვა ქმედითი ვერ იქნება.

6.15 მოცემულ შემთხვევაში, განხილვის კოლეგია ითვალისწინებს ადვოკატ ნანა ძიმცეიშვილის დისციპლინური გადაცდომის ხასიათს, სიმძიმეს, ასევე ფაქტს იმის თაობაზე, რომ ადვოკატი ნანა ძიმცეიშვილი არ არის დისციპლინირებული, რის გამოც საადვოკატო საქმიანობის უფლების შეჩერება ან შეწყვეტა იქნება ზედმეტად მკაცრი, შეუსაბამო და არაპროპორციული სახდელი ჩადენილ გადაცდომასთან.

6.16 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა პასუხისმგებლობის სამართლიანობისა და კანონიერების პრინციპით, მხედველობაში მიიღო ეთიკის კომისიის პრაქტიკა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სადისციპლინო პალატის განმარტებები პასუხისმგებლობის პროპორციულობასთან დაკავშირებით, და მიიჩნია, რომ ადვოკატ ნანა ძიმცეიშვილის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომების გამო, დისციპლინური სახდელის ფორმად უნდა განესაზღვროს გაფრთხილება.

6.17 კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 34.1.„ა“ მუხლით, ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ დებულების 33-ე, 35–ე მუხლებით და გადაწყვიტა:

**III სარეზოლუციო ნაწილი**

1. დისციპლინურ საქმეზე N007/22 ადვოკატ ნანა ძიმცეიშვილის მიმართ /სიითი№2763/ დადგინდეს დისციპლინური გადაცდომა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება ადვოკატის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს უზენაეს სასამართლოში, დასაბუთებული გადაწყვეტილების ასლის ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიაში საჩივრის წარდგენის გზით.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ოთარ კაჭკაჭაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ინგა ბერიძე/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/